

შეხედე პირველ სურათს.
რა არის ოთახში?

კნუტი და თოჯინა

სკამზე თოჯინა ზის. თოჯინა დიდია.

საწოლთან კნუტი ზის. კნუტი პატარაა.

კნუტი სკამთან მიდის. ის სკამზე ადის. კნუტი თოჯინას თათს ადებს.

თოჯინა ყვირის: „რძე მინდა!“, „რძე მინდა!“

კნუტი სკამიდან ხტება და გარბის.

კნუტი საწოლის ქვეშ არის. ის იმალება.

თოჯინა იცინის.

რატომ იმალება კნუტი
საწოლის ქვეშ?

დონე: B დაწყებითი

ტექსტის გაგება

1 სად ზის თოჯინა?

ა) იატაკზე. ბ) საწოლზე. გ) სკამზე.

2 რას აკეთებს კნუტი?

ა) სკამთან მიდის – თოჯინას თითს ადებს – სკამზე ადის.

ბ) სკამზე ადის – თოჯინას თითს ადებს – სკამთან მიდის.

გ) სკამთან მიდის – სკამზე ადის – თოჯინას თითს ადებს.

3 საიდან ხტება კნუტი?

ა) მაგიდიდან. ბ) საწოლიდან. გ) სკამიდან.

4 რა არის სკამთან პირველ სურათზე?

ა) ბურთი. ბ) კნუტი. გ) ქოლგა.

5 სად იმალება კნუტი?

ა) სკამის ქვეშ. ბ) მაგიდის ქვეშ. გ) საწოლის ქვეშ.

6 სწორია თუ არა?

I. თოჯინა საწოლზე ზის.	კი	არა
II. თოჯინა ყვირის: „რძე მინდა!“	კი	არა
III. თოჯინა იცინის.	კი	არა

▶▶▶ ლექსიკა

1 სწორად დაასრულე წინადადებები.

1. პატარა კატა არის _____ .
2. თოჯინას აქვს ხელი, კნუტს აქვს _____ .
3. სკამი ოთახში დგას, თოჯინა სკამზე _____ .
4. კნუტი პატარაა, თოჯინა კი – _____ .

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) თოჯინა. ბ) საწოლი. გ) სკამი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სწორი ფორმები:

ა) მე ვიცინი.
შენ იცინი.
ის _____ .

ბ) მე ვიმალები.
შენ იმალები.
ის _____ .

2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: კნუტი პატარაა – კნუტი არის პატარა.

1. თოჯინა დიდია – _____.
2. ეს საწოლია – _____.

3 სწორად შეარჩიე სიტყვა.

კნუტი _____ მიდის. ***(სკამზე/ სკამთან)***

გრამატიკა

4 შეარჩიე საჭირო სიტყვა.

კნუტი თოჯინას _____ ადებს.

ა) თათი. ბ) თათმა. გ) თათს.

წერა

1 დააკვირდი მეორე სურათს. დაწერე: რას აკეთებს თოჯინა; რას აკეთებს კნუტი.

_____

_____

_____

_____

2 დაწერე, რა არის შენს ოთახში.

_____

_____

_____

_____